

სახალხო ფურცელი

საბჭოთაო სახალხო ფურცელი

გაზეთის № 353

დაგეგმვის № 63

კვირა, 9 აგვისტო 1915 წ.



ვაჟა-ფშაველას ნიღაბი.
გდლებულია ი. ნიკოლაძის მიერ.



ფლავიანი

ა. კუპრინისა.

— მამა, მამაზე რომელიმე ზღაპარია...— მომისმინე რას გეუბნები მამილო-ო!.. ასე ეუბნებოდა შვიდი წლის კოწია, რომელიც მუხლებზე უჯდა ხოლმე ხოლომე და ორივე ხელით სცდილობდა მამის კისერი თვისკენ მოეზიდნა. პატარა ბიჭიკოს უკვირდა და ოდნავ აწუხებდა კიდევ თუ რას ნიშნავდა რომ მამა, აგერ ხუთი წუთია, გაშტერებით ჩასკეპროდა სანათის ცეცხლს და თან ოდნავ მკრთალის, თითქმის ღიმილნარევ ცრემლით მოჰნამოდა თვალები.

— მა-მი-ლო მეტე, მა-ამი-ლო-ო!.. მომტირალის ხმით წაიზმუკუნა კოწია; რა არის რომ ჩემთან ლაპარაკი არა გასურს?..

ივანე ტიმოთეს ძეს ესმოდა შვილის მოუთმენელი სიტყვები მაგრამ, ვერ დაეხწია თავი იმ უცნაურ მოჯადოებისთვის, რაიმე ელვარე საგანთა ჰერეტის დროს რომ ეუფლება ხოლმე ადამიანს; სანათის მკვეთრ შუქის გარდა, ამ ჯადოსნობაში, ზაფხულის თბილი, წყნარი მიმზიდველობა და საზაფხულო ტერასის სისალუქეც ერია, — პატარა მაგრამ საყვარელ ტერასისა, ველურ ვაზებით რომ იყო შემოქარავლი; მიმზიდველობა, მათი უძოდრაო მწვანე ფერისა, რომელიც, ხოლომე განათებით, მკრთალ, ფანტასტიურ ელფერსა ჰქმნიდა.

სანათი მუქ „აბაჟურის“ ქვეშ, მაგიდის სუფრაზე, ნათელ და სწორ ნახაზ შუქსა სცემდა. ივანე ტიმოთეს ძე ამ შუქში ჰხედავდა ორ მახლობლად დახრილ თავს, — ერთს ცოლისას, ქერას, სახის ნახაზს წმინდა მოხაზულობით, — ხოლო მეორეს — ამაყსა და ღამაზს ყმაწვილ კაცისას, რომელსაც შავი, მოელვარე თმა დაუდევრად ჩამოჰყვარდა მხრებზე, შავგვრემან შუბლზე და მსხვილ შავ თვალებზე ეფარებოდა, — მგზნებარე, მეტყვილ-შტოლველ თვალებზე... ხოლომე ნიკოვი ჰგონებდა თავის ლოყებსა და კისერზე კოწიას ხელის ნახაზებს, მის თბილ სუნთქვას; ჰგონებდა მის თმათა სურნელებასაც კი, ზაფხულის მხურვალე მზისაგან რომ შეჰრუჯოდა, რომელიც პატარა ჩიტუნის ბუმბულთა სურნელებას წააგავდა და ყველა ეს ერთად ისეთ პარონიულ და ნათელ შთაბეჭდილებად ინაკვებებოდა, რომ ხოლომე ნიკოვის თვალთაგან განცდის ცრემლებმა შეეხა დაიწყეს უნებურად.

— ორი თავი, სანათის მახლობლად დახრილი, ერთ-ერთს თითქმის თმებით რომ ეხებოდნენ, ეკუთვნოდა, როგორცა ვთქვით, ხოლომე ნიკოვის ცოლს და გრიგოლ ბახანიძეს, მის საუკეთესო მეგობარს და მოწაფეს.

ივანე ტიმოთეს ძე წრფელის, მხურვალე მზრუნველობითა და სიყვარულით ეპყრობოდა ამ გრძნობა — ჯარბ და ქარიშხლიან ახალგაზრდას, — რომლის სურათებშიც, მასწავლებლის გამოცდილმა თვალმა, კარგა ხანია ყალმის მოსმის სიმკვეთრე და ნიქის უსაზღვროება შეამჩნია.

ხოლომე ნიკოვის სულში სრულებითაც არა ჰქონდა ადგილი შურსა და უკმაყოფილებას, რაც ეგრე დამახასიათებელია მხატვართა ურწმუნო და ვულგარურ წრისა. პირაქით იგი ამაყობდა მით რომ, ბახანიძე მისგან იძენდა მომავალ სახელის სიდიადეს, მისგან იღებდა პირველ გაკეთილებს; ამაყობდა იმითაც, რომ მისმა ცოლმა ლიდიამ ყველაზე უპირველესადა სცნო და დააფასა მისი მოწაფე...

ბახანიძე ჩუმად და თავ აუღებლად ჰხაზავდა ფანქარით ბრისტოლის ქაღალდზე და მის ხელის ნაკვეთებზე ინაკვებოდნენ: კარიკატურები; ცხოველნი ადამიანთა სამოსით, ქალის სახის ნახაზი ნაკვეთები, კობტად ნაქარგი ინიკიალები, პაროდები სურათებზე — სამხატვრო აკადემიაში რომ გამოეფინათ...

და ეს დაუდევარი ნაწყვეტები, რომელთა ყოველ ხაზში ნიქი და დაკვირვება გამოსკვიოდა, სწრაფად სცვლიდა ერთი მეორეს, რაც ლიდიამ ლევის ასულის სახეზე, — რომელიც ასე გაფაციცებით ადევნებდა თვალს, ხან ძლიერ ყურადღების შთაბეჭდილებას იწვევდა, ხან კი მზიარულ აღერს...

— აი, როგორი ხარ მამილო, — თვითონ დამპირდები ხოლმე და თვითვე ხარ გაჩუმებული!.. წაიბუზღუნა შეურაცხყოფილმა კოწიამ, მერე უკმაყოფილების ნიშნად ტუჩები გაიბერა, თავი ჩაქინდრა და ფეხების ქაევა და თითების თამაში დაიწყო...


— ჰო, კარგი, კარგი ჩემო კოწია, ნუ მიჯავრდები, ამ წუთში გვიამბო ზღაპარს... მაგრამ რა გვიამბო? იგი დაფიქრდა.

— დათვისა, რომელსაც თათი მოსჭრეს? უთხრა პატარამ, — ეგ მე უკვე ვიცი. ხოლომე ნიკოვის უცბად თავში აღმტაცმა ოცნებამ გაუღვია.

განა მის ცხოვრებაში არ მოიპოვება ისეთი რამ, რაც თვალსაჩინო საზღაპრო თემად გამოდგეს? განა ღიდი ხანია მას აქედ? — სულ



ვაჟას ცხედარი ქვაშვეთის ტაძარში.



წმ. ნინოს ლაზარეთში ოთახი, სადაც გარდაიცვალა ვაჟა. საწოლთან ზის სათნოების დაი ქ-ნი კობიაშვილისა, რომელიც უვლიდა ვაჟას.

თორმეტი წელია მას შემდეგ, როცა ის, ღარიბი, უცნობი მხატვარი დაბეჩავებული და დევნილი ძლიერთაგან ამა ქვეყნისათა, შეურაცხყოფილი უზრდელთაგან და დაუკვირებელთა მიერ უნიჭოთა ქების, ხოლო მისდამი უყურადღებობისაგან, ხშირად სუსტდებოდა და თავდავიწყებით იკარგებოდა ცხოვრების აფორიაქებულ ზღვაში და სწყევლიდა იმ წუთს, როცა მან სამხატვრო ყალამს მოჰკიდა ხელი...
ხოლო ამ დროს, ამ მძიმე და აუტანელ ეპოს, ცხოვრების ბილიკზე შეჰხვდა ლილია...

იგი გაცილებით ახალგაზრდა იყო ხოლმეოვნიკოვზე და თვალის მომჭრელად ლამაზი. ჰქვიანი, წყნარი, თავაზიანი და თავყანის მცემლებით ვარს შემოხვეული. ივანე ტიმოთეს ძე კი — ღარიბი, შეუმჩნეველი, გაუტანლობით გულ დატეხილი და ცხოვრებისაგან იმედ დაკარგული. — იგი ოცნებასაც კი ვერა ჰხედავდა სიყვარულის, ამ ზეციურ მოვლენისადმი.

მაგრამ, ლილია შეჰხვდა და მან პირველმა იწამა იგი, მან მისცა რწმენა და გაუწოდა ხელი სიყვარულისა...

როცა ხოლმეოვნიკოვი, სიღარიბითა და უიღბლობით ღონესა ჰკარგავდა და ქანც მიღებული სულით ეცემოდა, ლილია თავის ალერსით, ნაზის მზრუნველობით და მზიარულის, სიცოცხლით აღსავსე ხუმრობით ამხნევედა და მისი უბიწო, დაუღალავი სიყვარული კვლავ ამაღლებდა ხოლმე ბეჩავს...

და ეხლა კი მისი სახელი — ყველა წერა-კითხვის მცოდნესათვის ნაცნობია, მისი სურათები ამშვენებენ გვირგვინოსანთა გალლერეიას, — იგი, ერთად-ერთი აკადემიკოსია, რომელსაც აღმერთებს — ყველაფერში ურწმუნო ახალგაზრდა მხატვართა წრე.

მაშინდელ ნივთიერ მდგომარეობაზე ხომ ლაპარაკიც მეტია; მაგრამ ეხლა, ისიცა და ლილიაც, საკმაოდ დაჯილდოვებულნი არიან, იმ აუტანელ, დამამკირებელ და თითქმის გლახურ მდგომარეობისთვის, მათ რომ განიცადეს ოდესმე...

იმ ხელმოკლეობისას, ივანე ტიმოთეს ძეს — არც კი შეეძლო წარმოედგინა თავისი ეხლანდელი ნეტარება და კმაყოფილი ცხოვრება, რომელიც ასე გამთბარი იყო ლამაზ ცოლის ალერსით და უმეტესწინ, ნაზი სიყვარულით, გამთბარი პატარა კოწიას გამხარებელ ცქრილათ და იმ ოჯახურ სიამოვნების მომგვრელ მოვლენით, ბახანინის ძლიერი და საამო მეგობრობა რომ იყო.

საზღაპრო თემა სწრაფად დალაგდა მის თავში.

— აბა, მომისმინე ჩემო კოწიკ! — დაიწყო მან და ხელი გადაუსვა ბავშვის წმინდა აბრეშუმით ღებულ თმებს.

— მხოლოდ ფრთხილად, არ შემაშლევინო და კარგად დაიხსომე.

„ერთ ქვეყანაში სცხოვრობდა მეფე და დედოფალი.

— და მათ შვილები არა ჰყავდათ? ჰკითხა კოწიკამ წვრილის ხმით.

— არა კოწიკ! იმათ ჰყავდათ შვილები, ნუ მაშლევინებ გეთაყვა!..

პირიქით არაჩვეულებრივად ბევრი შვილები ჰყავდათ. — ისე ბევრი რომ როცა მეფემ გაუყო შვილებს ქონება უმცროს ვაჟს არაფერი ერგო! — ერთი სიტყვით სულ არაფერი, არც სამოსი, არც მსახური, არც სახლი და არც ცხენები...

ჰო და როცა მეფემ იგრძნო აღსასრულის მოახლოება, დაუძახა თავის შვილებს და განუცხადა: საყვარელო ბავშვებო, შესაძლოა მე მალე მოვკვდე და ამიტომ მსურს ამოვარჩიო თქვენში მემკვიდრე ღირსეული ჩემის ტახტისა. ხომ იცით, ჩემი სამეფოს საზღვარზე უზარმაზარი ტყე რომ არის, ხშირი და დაბურვილი ტყე. იმ ტყის შუა გულში გაშენებულია მარმარილოს სასახლე. — ხოლო იქ მიღწევა კი ძლიერ ძნელია. ბევრმა სცადა ეს მაგრამ უკან აღარავინ დაბ-

რუნებულა, მათა ჰნთქავდნენ ველური ნადირნი, მომაკვდინებლად უღიტიზდნენ ალები და შხამიანი გველები ჰკბენდნენ... მაგრამ თქვენ გაბედულად გასწით წინ! — ნუ შეგაშინებთ ნურც შიში, ნურც მახლობელთა დალაგებული დარიგება, ნურც სიფრთხილე მოსალოდნელის ფათერაკისა.

მარმარილოს ჰისკართან თქვენა ჰნახავთ სამ ლომს, ჯაჭვებით დაბმულთ. ერთს სახელად შური ჰქვიან, მეორეს, სიღარიბე და მესამეს კი ეჭვი. — იგი ლომები დამაყრუებლის ღრენით მოგვარდებიან მაგრამ თქვენ გასწით პირდაპირ. სასახლის შუა გულს, ვერცხლის ოთახში, ვარსკვლავებით მოვარაყებულ სამეფო ოქროს შანდალზე, მარადისობის უწმინდესი ცეცხლი ანთია. — დაიხსომეთ ჩემი: რომელი თქვენგანიც აანთებს ამ ცეცხლით ლამპარს და უკანვე დაბრუნდება, იგი იქნება მემკვიდრე ჩემის ტახტისა...

ივანე ტიმოთეს ძემ თუთუნს ცეცხლი მოუკიდა. — ისე რომ კოწიკა მკლავთაგან არ გაუშვია; ლილია და ბახანინი ეტყობოდა ღიღის ყურადღებით უსმენდნენ ზღაპარს. ბახანინს შუბლზე ხელები ქოლგად დაეფარებინა თვალთა მარტილობლად და სცდილობდა დაენახა ივანე ტიმოთეს ძე, ბნელ კუთხეში საქანაო სკამზე რომ იჯდა. ხოლმეოვნიკოვიმ განაგრძო:

მეფის შვილნი გაუდგნენ გზას; მათ უმცროსი ძმაც გაჰყვა. მას სასახლის მსახურნიც კი ურჩევდნენ სახლში დარჩენას და ეუბნებოდნენ:

— შენ სუსტი და ავადმყოფი ხარ, აგრედვე პატარაც, ამიტომ უფროსებთან წასვლის ძალა არ შეგწევს, ამაოდ ნუ ირჯები.

— არა, უპასუხებდა მეფის შვილი, მეცა მსურს შევიდე მარმარილოს სასახლეში და ავანთო ლამპარი უწმინდესის ცეცხლით. მე ძლიერ მსურს ეს.

და წავიდა. ცოტა იარეს თუ ბევრი, მიადგნენ ძმანი აღთქმულ ტყეს. უმფროსთა თქვეს.

— ტყეში პირდაპირ ვლა ძნელია და სახიფათო, გზაც გრძელია ალბად. — უმჯობესია ირგვლივ შემოველოთ მოკლე სახეობო ბილიკსა ვნახვით უთუოდ.

უმცროსმა უპასუხა:

— თქვენ ძმანო, როგორც გინდოდეთ, მე კი პირდაპირ წავალ, — მიტომ რომ სხვა გზა არ არის ტყეში შესასვლელად.

ძმებმა კი გულმოსვლით მიუგეს.

— შენ, ნაცარქექიას, მეტი არც გესმის, როდი ღირს შენთან ლაპარაკი — ნადირნი შეგისინლავენ ტყის ჯურღმულში, ან თვით მოჰკვდები შიმშილით... და დაჰშორდნენ.

... და მიდის მეფის შვილი, მიდის ერთი დღე, ორი, სამი, — ხოლო ტყე თანდათან უფრო ხშირია. ტყეში ბნელი და საშიში. ჯაგნარი სჩხვლტავს, ტოტები სამოს ახევენ, მეგლნი და აფთარნი სუნ ალებით კვალდა-კვალ მისდევენ. ის მაინც მიდის. — ხის ტოტებზე მწვანე დალალ ჩამოშლილი ალები ქანაობენ და მაცდურის ხმით თავისკენ იწვევენ მეფის შვილს:

— სად ისწრაფვი, — არავითარი მარმარილოს სასახლე ამ ტყეში არ არსებობს, ყველა ეგ, სულელ მეზღაპრეთა და უაზრო მეოცნებეთაგან მოგონილი ჭორია; მოდი აქ, გვესტუმრე ჩვენ, აქ მზიარული და უზრუნველი იქნება სიცოცხლე შენი. სმენას დაგიტკობთ ველურის მუსიკით და ჯერ არავისგან გაგონილ სიმღერით, მოდი, მოდი გვესტუმრე...

მეფის შვილი არ ისმენს, ცდუნებანი ამაოდ ირჯებიან. იგი უკან მიუხედავად მიდის წინ, სულ წინ...



ეკლესიიდან გამოსვენება ცხედრისა.



ვაჟას ცხედრის წინ ტაძრის ეზოში ბ-ნი ქადაგიძე სიტყვას ამბობს.

მაგრამ ცხენი დაეღალა და და-
ვარდა.

ტყე კი თანდათან უფრო ხში-
რია, ტევრი ძნელი, ჯურღმული
აშიში ხეები ღრმა და ძნელ გა-
სავალი.

მეფის შვილს ძალა დაეკარგა
და ქანც მიხდილი დაეცა გულ-
კვივ მიწაზე.

ავი რამ ფიქრები აღეძრა გულ-
ში, აღსასრულის წუთის მოელის
და სინანულით ამბობს:

— მართალია ალბად, არავი-
თარო მარმარილოს სახლი არ უნ-
და იყოს აქ. უმჯობესი იყო წინად-
ვე კარგად მეფეობა და სულ არ
ამომსულიყავ აქეთ, — ან აღნი რომ
მიწვევდნენ დავრჩენილიყავ მათ-
თან. — ეხლა ამაოდ დავიღუპები აქ
და არავინ მეყოლება დამტი-
რებელი, სამარესაც კი არავინ მი-
მბარებს.

ასე რომ ფიქრობდა მეფის შვილი, მოულოდნელად ფერია გა-
მოჩნდა საიდანღაც.

მშვენიერი იყო იგი, თეთრი, თოვლისფერი სამოსი თითქოს
აღნებოდა სათუთ სხეულზე.

მიუახლოვდა და ასე უთხრა:

— მეფის შვილო! — რად წარიკვეთ სასოს და მოსთქვამ უიმე-
ლოდ? აი, ჩემი ხელი, გამომეყ!

ქაბუკი რა შეეხო ფერიას ხელს, მყისვე იგრძნო სიხალისე და
ახალი ძალა. — იგი ადგა და გაჰყვა ლამაზ ფერიას...

და როდესაც იგი დასუსტდებოდა ფერია მაგრა მოუჭერდა
ხელს და მასაც ძალა ემატებოდა და კვლავ ხალისით მიდიოდა
წინ... ხოლმწიფიკოვი შეჩერდა.

— მერეღა, მამილო, მერე? შეეკითხა აკოწია, რომელსაც თვალე-
ბი ფართოდ გაეღო და ყურადღებით უცქეროდა მამას.

ივანე ტიმოთეს ძემ თმაზე ხელი გადაისვა და მისი ხმა უფრო
მკაფიოდ გაისმა.

მივიდა მეფის შვილი მარმარილოს სასახლეში, იგი არ შეუშინ-
და ჰისკართან დაბმულ ლომებს, შურს, სიღარიბესა და ექვს, არ შე-
უშინდა მიტომ, რომ მასთან იყო ლამაზი ფერია. მან ბრილიანტის
ვარსკვლავებით მოვარაყებულ ოქროს სამსხვერპლოზე აანთო ლამაზ-
რი მარადისობის ცეცხლით და დაბრუნდა უკან. და როდესაც იგი
სასახლიდან გამოდიოდა, ლომები, — მოშინაურებულ ძაღლებივით
ელაქუცებოდნენ ღ ჰლოკავდნენ კიბის საფეხურზე მის ნაკვალევს. იგი
დაბრუნდა თავის ქვეყანაში... ტყე შუა გაიყო და მის წინ გადაიშალა
ფართო და სწორი გზა. ხოლო ფერია მის ცოლად გაჰხდა, საყვა-
რელ და ერთგულ ცოლად და ერთი წუთითაც კი აღარ განშორებია
მას... რაც შეეხება დანარჩენ ძმებს, ზოგთ შეეშინდათ ძნელის გზი-
სა და მიატოვეს განზრახვა, ზოგნი უკან დაბრუნდნენ და მათ მთე-
ლი სამეფო დასცინოდა.

ხოლო უმცროსი მეფის შვილი კი თავისი ცოლით სცხოვრობ-
და უზრუნველად და ბედნიერად.

— ასე კი იყო ჩემო კოწიკ!..

— გათავდა მამა? ჰკითხა ბავშვა მოჯადოებულის ხმით ღ ნელა
ზამოხტა მამის მუხლებიდან.



პროცესია გოლოვინის პროსპექტზე.

— გათავდა, ჩემო ბიჭიკო, გა-
თავდა, — უმჯობესია ეხლა დაიძი-
ნო, მიდი გამოეთხოვე ღედასა და
გრიგოლს.

— არ არის კარგი ზღაპარი, —
ოდნავ გასაგონის ხმითა სთქვა
ბავშვა და მერე მივიდა ალერსით
აკოცა ღედას, რომელმაც ღედობ-
რის მზრუნველობით პირჯვარი
გადასწერა, აკოცა ბახანინსაც და
მამასთან ერთად გასწია საძილე
ოთახისაკენ.

ივანე ტიმოთეს ძემ გამდელის
დახმარებით გაჰხდა ბავშვს და
დააწვინა სარეცელზე.

ოთახი სუსტად იყო განათებუ-
ლი, თითქმის ნახევრად ბნელო-
და; ვარდისფერი კანდელი სუსტად
ბეუტავდა და მისი ანარეკლი წმინ-
და ხატის ვარაყზე მთრთოლვარე
სასოების ნაპერწკლებად ჰკრთე-
ბოდა. კოწია დაწვა მარჯვენა
გვერდზე, ორივე ხელი ლოყის ქვეშ
ამოიღო და ჰკითხა მამას:

— მამილო, შენ ეგ ზღაპარი
ბოლომდე მიაშბე?

— ბოლომდე, ჩემო ბიჭიკო, რათა მკითხავ?

— ეხლა სად არის ის მეფის შვილი?

— მეფის შვილი? — ის ჯერ მეფედ არ გამხდარა მაგრამ, მან
ჯვარი დაიწერა მშვენიერ ფერიაზე და ეხლა მათ პატარა ბიჭიკო
ჰყავთ. აი, ჩემი კოწიასავით ბიჭიკო, მაგრამ განსხვავება ის არის
რომ კოწიას არ უყვარს კარნახით წერა და ის კი სიამოვნებითა
სწერს ხოლმე.

— მამილო, ძმებმა მეფის შვილს ნაცარქექია რად დაუძახეს?

— იმიტომ, ჩემო მტრედო, რომ ის სულ სადა ადამიანი იყო
და ამასთან ღარიბიც, და მართლაც ნაცარქექია იქნებოდა, თუ ფე-
რია არ შეჰხვედროდა ნადირნი დაჰფლეთავდნენ უდაბურ ტყეში.

კოწიას ღრმა და ერთგვარი სუნთქვა ჰმოწმობდა რომ ეს ჩაე-
ძინა და აღარ ესმოდა პასუხი თავის კითხვაზე. ხოლმწიფიკოვმა
მამობრის გულმოდგინებით გადასწერა პირჯვარი და ნელა, ფეხის
ფრჩხილებით გამოვიდა ბავშვის ოთახიდან; მისი მეშის ფეხსაცმელი
სრულიად უხმაურო იყო. იგი ტერრასზე ისე გამოვიდა, რომ არც
ლიდიას და არც ბახანინს არ შეუტყვიათ.

ხოლმწიფიკოვი გაშეშდა; სხეულში ცივმა ჟრუანტელმა დაუარა.
ლიდია ბახანინს მხრებზე გაჰყრდონობდა და მის ვნებიან კოცნას მო-
ლიმარის და ანთებულის ტუჩებით კოცნასვე უბრუნებდა სამაგიე-
როდ. ხუჭუჭი მელნისფერი კულუღი კეკლუცად ჩამოჰფანტოდა ყელზე.
ეტყობოდა ლიდიას ძღვამარეობა ორივეს ალელევბოა:

ლიდია, გაფითრებულ-გაფერკრთალებულიყო, ხოლო ბახანინის
შავგვერემანი სახე შეწითლებულ შეკარდისფერებულიყო.

ლიდიამ, მღელვარებით ღონე მიხდილმა, ვნებიანის ამოქშენით,
რომელიც კვენესასა ჰგავდა, სწრაფად მოჰხვია ბახანინს კისერზე ნა-
ხევრად შიშველი ლამაზი მკლავი და ცეცხლიანად ჩააკვდა მის ტუ-
ჩებს დაუშრეტელი ნექტარის ამოსაწოვად!

... ზღაპარი დასრულდა!..

ს. ფაშალიშვილი.

(Handwritten symbol)

მ პოეზიუ მ სუ
 სუ მუბე მუხუ მუბე.
 სუა მუხუ მუხუ მუხუ
 მუხუ მუხუ, მუხუ მუხუ.
 მუხუ მუხუ. მუხუ მუხუ
 მუხუ მუხუ მუხუ მუხუ
~~მუხუ მუხუ მუხუ მუხუ~~

მუხუ მუხუ მუხუ
 მუხუ მუხუ მუხუ
~~მუხუ მუხუ მუხუ მუხუ~~
~~მუხუ მუხუ მუხუ მუხუ~~
~~მუხუ მუხუ მუხუ მუხუ~~

მუხუ-მუხუ მუხუ მუხუ
 მუხუ მუხუ მუხუ მუხუ
 მუხუ მუხუ მუხუ მუხუ
 მუხუ მუხუ მუხუ მუხუ ...
 მუხუ მუხუ მუხუ მუხუ
 მუხუ მუხუ მუხუ მუხუ.
~~მუხუ მუხუ მუხუ მუხუ~~
 მუხუ მუხუ მუხუ მუხუ.
 მუხუ მუხუ მუხუ მუხუ
 მუხუ მუხუ მუხუ მუხუ

(Handwritten signature)

მ მუხუ მუხუ მუხუ
 მუხუ მუხუ მუხუ მუხუ
~~მუხუ მუხუ მუხუ მუხუ~~
 მუხუ მუხუ მუხუ მუხუ
 მუხუ მუხუ მუხუ მუხუ

მუხუ-მუხუ მუხუ მუხუ